

არაბული ქალური განვითარების რომანის ზოგიერთი ასპექტი
იმან ჰუმაიდანის რომანში „ველური თუთა“¹¹⁸

ირინე შოთაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა
ფაკულტეტის არაბული ფილოლოგიის დოქტორანტი.
საქართველო, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. 1
+995 592 30 20 10. irine.shotashvili@gmail.com
ORCID: 0009-0003-4543-0354

აბსტრაქტი

სტატიაში გაანალიზებულია თანამედროვე ლიბანელი მწერლის, იმან ჰუმაიდანის რომანი „ველური თუთა“ (2001). ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ამ რომანის განხილვა არაბული ქალური განვითარების რომანის ჭრილში. ამისათვის მას ვადარებთ ორი არაბული რომანის სიუჟეტს და მათში წარმოდგენილ თემატიკას. ეს რომანებია: ემილი ნასრალლას „სექტემბრის ჩიტები“ (1962) და სუმაია რამადანის „ნარცისის ფოთლები“ (2001).

¹¹⁸ სამეცნიერო სტატია მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების გრანტის „თანამედროვე ლიბანური ქალური მწერლობა“ (იმან ჰუმაიდან იუნისის შემოქმედების მაგალითზე) (PHDF-23-6382) ფარგლებში.

შესაბამისად, კვლევა წარმართეთ შედარებითი და შეპირისპირებითი მეთოდების გამოყენებით.

არაბული ქალური განვითარების რომანების მხოლოდ მცირე ნაწილია შესწავლილი. ჩვენი კვლევის აქტუალობაც იმაში მდგომარეობს, რომ კვლევის საფუძველზე ვაჩვენოთ, რა პარამეტრებით შეესაბამება „ველური თუთა“ არაბული ქალური განვითარების რომანის კრიტერიუმებს.

საკვანძო სიტყვები: არაბული განვითარების რომანი; Bildungsroman; არაბული ქალური განვითარების რომანი.

შესავალი

XIX საუკუნის გერმანიაში ჩამოყალიბებულმა განვითარების რომანმა, იგივე, „Bildungsroman“-მა დიდი გზა განვლო და დღემდე ჩვენამდე გამდიდრებული თემატიკით მოაღწია. იგი სხვადასხვა სახელწოდებითაა ცნობილი, მაგალითად, „ფორმაციის“, „განსწავლის“ ან „ზრდასრულ ასაკში შესვლის“ რომანის სახელით. ამ ტიპის ნაწარმოებებს ვხვდებით როგორც ამერიკულ და ევროპულ, ისე აღმოსავლურ ლიტერატურაში.

განვითარების რომანის პირველი ნიმუშების პროტაგონისტებად მამაკაცები გვევლინებიან, თუმცა დროთა განმავლობაში გაჩნდა ნაწარმოებები, რომელთა მთავარ გმირებად ქალებსაც ვხედავთ. ამის თვალსაჩინო მაგალითია შარლოტა ბრონტეს „ჯეინ ეარი“. აგრეთვე გაიზარდა დაინტერესება ქალური განვითარების რომანების მიმართ, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა დასავლური მწერლობა, რასაც ბოლო წლებში მიჰყვა აღმოსავლური ლიტერატურაც.

არაბული ქალური განვითარების რომანების კვლევა, შეიძლება ითქვას, რომ ჯერაც არასრულყოფილადაა ასახული ახალი და უახლესი არაბული ლიტერატურის სამეცნიერო კვლევებში და ამ ტიპის ლიტერატურის მხოლოდ მცირე ნაწილია შესწავლილი.

სტატიის მიზანია, თანამედროვე ლიბანელი მწერლის, იმან ჰუმაიდანის რომანის „ველური თუთის“ განხილვა არაბული ქალური განვითარების რომანის ჟანრის კრილში. ამის მისაღწევად, რომანს შევადარებთ არაბულ ტრადიციულ და ქალური განვითარების რომანების სიუჟეტებსა და თემებს, გამოვკვეთთ საერთო და განმასხვავებელ ნიშნებს. არაბული ქალური განვითარების რომანის ნიმუშებად ავიღეთ ემილი ნასრალლას „სექტემბრის ჩიტები“ და სუმაია რამადანის „ნარცისის ფოთლები“.

მეთოდი

ჩვენი კვლევის მეთოდი, საკვლევი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის შედარებითი და შეპირისპირებითი ანალიზი. შევეცადეთ, კონკრეტული ტექსტის ნაწილების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა პრობლემის ერთიანი სურათი და წარმოგვედგინა შესაბამისი დასკვნები.

შედეგები

კვლევამ აჩვენა, რომ, თანამედროვე ლიბანელი მწერლის, იმან ჰუმაიდანის რომანი „ველური თუთა“ მიუყვება ტრადიციული განვითარების რომანის სტანდარტულ სიუჟეტს, ის ასევე იმეორებს ქალური განვითარების რომანის თემებს. საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ „ველური თუთა“ აკმაყოფილებს არაბული ქალური განვითარების რომანის ჟანრის კრიტერიუმებს.

დისკუსია

განვითარების რომანს (Bildungsroman) საფუძველი გერმანიაში ჩაეყარა 1809 წელს კარლ მორგენშტერნის მიერ ახლანდელ ტარტუს უნივერსიტეტში წაკითხული ლექციით „Bildungsromans ბუნების შესახებ“. ლექციამ მოგვიანებით ბეჭდური სახე შეიძინა, თუმცა დიდი გამოძახილი ვერ ჰპოვა და სალიტერატურო სფეროში ვერ დამკვიდრდა. ტერმინის პოპულარიზაცია მიეწერება ვილჰელმ დილთეის, ნაშრომით - „პოეზია და გამოცდილება“ (1906), რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ Bildungsroman გამორჩეულად გერმანული მიღწევაა.

დილთეი განვითარების რომანს ისტორიულად და ეროვნულად გამორჩეულად მიიჩნევს, მაშინ როცა, მორგენშტერნი მას

თანამედროვე რომანის უნივერსალურ ქვეკატეგორიად აღიარებს. დილთეის მიდგომა გამოკვეთს ჟანრის „შინაგანობას“ და „პიროვნულობას“, ხოლო მორგენშტერნი, პირიქით, ხაზს უსვამს არა პერსონაჟის, არამედ მკითხველისა და რეალური სამყაროს განვითარებას (Boes, 2009:647)

დილთეის სამუშაო ტექსტს წარმოადგენს გოეთეს „ვილჰელმ მაისტერის განსწავლის წლები“ (1795-96), რომელზე დაყრდნობითაც მსჯელობს, რომ განვითარების რომანის გმირი უნდა გადიოდეს ცხოვრების ეტაპებს, რა დროსაც შეიძენს იმ გამოცდილებასა და ცხოვრებისეულ ღირებულებებს, რომლებიც მოამზადებს მას მომდევნო ეტაპებისთვის (Boes, 2006:231).

ამრიგად, დილთეისა და მორგენშტერნის ნაშრომების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ევროპული ტრადიციული განვითარების რომანები მოიცავს შემდეგ თემებს: ბავშვობა, თაობათა კონფლიქტი, პროვინციულობა, მოგზაურობა, თვითგანათლება, გაუცხოება, სიყვარულით გამოწვეული განსაცდელი და მოწოდების ძიება.

არაბული განვითარების რომანი, როგორც რომანის ქვეჟანრი, პირველად ლიტერატურულ სივრცეში ნედალ ალ-მუსამ წარმოადგინა (ალ-მუსა 1993). მისი თეორია ემყარება გერმანულ სკოლას, იგი აანალიზებს ევროპულ განვითარების რომანებში წარმოდგენილ თემებს და ადარებს მათ არაბული რომანების თემებსა და სტრუქტურას.

საანალიზოდ მუსას წარმოდგენილი აქვს შემდეგი რომანები: თავფიკ ალ-ჰაქიმის „ჩიტი აღმოსავლეთიდან“ (1938), ზუ ნ-ნუნ აიუბის „დოქტორი იბრაჰიმი“ (1939), იაჰია ჰაკკის „უმ-ჰაშიმის კანდელი“ (1945), სუჰაილ იდრისის „ლათინური კვარტალი“ (1953), ატ-ტაიბ სალიჰის „მიგრაციის სეზონი ჩრდილოეთში“ (1966) და ღალიბ ჰამზა აბუ ალ-ფარაჯის „დაკარგული წლები“ (1980). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ რომანებში პროტაგონისტებად მხოლოდ მამაკაცები გვევლინებიან.

ნედალ ალ-მუსას მიხედვით, არაბული განვითარების რომანში სიუჟეტი შემდეგნაირად ვითარდება: ნაწარმოების პროტა-

გონისტი იზრდება პროვინციულ ოჯახში, თუმცა თავგადასავლების საძიებლად სახლს ტოვებს და ბედის სამეზნელად მიემართება, ამასობაში უყვარდება უცხოელი ქალი, რომლის მიუწვდომლობა ან ზოგ შემთხვევაში მასთან გაბმული რომანი მის შინაგან ცვლილებას იწვევს. მოგზაურობისას პერსონაჟის გზა იკვეთება სხვადასხვა მასწავლებელთან და დამრიგებელთან, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობენ მის განათლებაში, შინაგან ზრდაში. რომანტიული თავგადასავალი და ახალი ცოდნის მიღება საბოლოო ჯამში მას რეალობასთან აახლოვებს, რითაც სრულდება მისი ცხოვრების საგანმანათლებლო პროცესი.

არაბულ განვითარების რომანებში პროტაგონისტის მოგზაურობა უმეტეს შემთხვევაში აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ხორციელდება. აღმოსავლური სამყაროსა და დასავლეთის შეხვედრა-დაპირისპირების თემა, XIX-XX საუკუნიდან მოყოლებული, არაერთი მწერლის ყურადღების არეალში მოქცეულა. ეს, ერთი მხრივ, განპირობებული იყო არაბულ სამყაროსა და ევროპას შორის კოლონიური ისტორიის არსებობით და მეორე მხრივ, ევროპაში განათლების მისაღებად გაგზავნილი ახალგაზრდების დიდი როდენობით, მათ შორის იყო არაბული ინტელიგენციის მომავალი თაობა, რომელთა შემოქმედებაც ასახავს სწორედ ამ ორი განსხვავებული კულტურის ურთიერთკავშირს (სურმავა, 2018:58).

როგორც ვნახეთ, არაბული განვითარების რომანები უმეტეს შემთხვევაში იმეორებს იმავე თემებს რასაც ევროპული განვითარების რომანები გვთავაზობს, თუმცა ვხედავთ ახალ თემსაც: სულიერი აღმოსავლეთისა და მატერიალისტური დასავლეთის შეპირისპირება. აღმოსავლელი პროტაგონისტის მოგზაურობა დასავლეთში, კულტურული შოკის განცდა, დასავლური კულტურის გაანალიზება და აღმოსავლური ღირებულებების გადაფასება.

სანამ განვიხილავთ ქალურ განვითარების რომანს, მართებული იქნება თუ ჯერ ვახსენებთ ლიტერატურის ფემინისტური კრიტიკის საკითხს, რომელიც სულ პირველად ვირჯინია ვულ-

ფმა წამოჭრა 1929 წელს გამოქვეყნებულ ესეში „საკუთარი ოთახი“. ვულფი პატარა, მაგრამ საყურადღებო ესეში ცდილობს პასუხი გასცეს იმ დროისთვის მნიშვნელოვან კითხვას, თუ რატომ არის ისტორიაში ქალი მწერლების მცირე რაოდენობა. ასევე ეხება საზოგადოებაში ქალების შეზღუდული როლების, მათი მატერიალური მდგომარეობის საკითხებს. ვირჯინია ვულფი მსჯელობს, რომ ვინაიდან რომანს კავშირი აქვს რეალურ ცხოვრებასთან, მისი ღირებულებები გარკვეულწილად რეალური ცხოვრებიდან მოდის. თუმცა აშკარაა, რომ ქალების ღირებულებები ძალიან ხშირად განსხვავდება სხვა სქესის ღირებულებებისგან. ვულფი ერთმანეთისგან განასხვავებს ქალურ და მამაკაცურ მწერლობას, აგრეთვე ხაზს უსვამს გენდერის გავლენას მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტზე. გამოცდილება, რაც ქმნის ქალურ სიუჟეტს, ცვლის ქალი მწერლის დამოკიდებულებას ნარაციის ტრადიციის მიმართ, რამაც შეიძლება კიდევ უფრო სხვანაირად ჩამოაყალიბოს ქალის მიერ დაწერილი ტექსტი (Abel and Hirsh, 1983:162).

ვულფის შემდეგ ამ საკითხს 1949 წელს ეხმიანება სიმონ დე ბოვუარი ესსეთი: „მეორე სქესი“, დაინტერესება გრძელდება ფემინიზმის მეორე ტალღის გაძლიერებასთან ერთად, იწყება ლიტერატურული ტექსტების გადაანალიზებაც.

მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში ელეინ შოუვოლტერს შემოაქვს ტერმინი „გინოკრიტიკა“, რაც ერთგვარად ვულფის ნააზრევის გაგრძელებაა და გულისმობს არა ლიტერატურულ ნაწარმოებებში ქალთა რეპრეზენტაციების კვლევას, არამედ ქალი მწერლების სოციალური და მატერიალური მდგომარეობის, მათი წერილობითი ენის შესწავლას (Showalter, 1986:12).

რაც შეეხება ქალურ განვითარების რომანს, ამ ტიპის ნაწარმოებების აქტიური შესწავლა 1970-იან წლებში იწყება. ფემინისტი კრიტიკოსები აანალიზებენ მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ქალი მწერლების რომანებს, სადაც მთავარ გმირებად ასევე ქალები გვევლინებიან. ამ პერიოდის ქალური განვითარების რომანებში ასახულია „ქალის ავტონომიის, წარმოსახვის უნარისა და

სიმწიფის დათრგუნვა და დამარცხება პატრიარქალური გენდერული ნორმებით“ (Lazzaro-Weis, 1990:17). ანის პრატის თანახმად, ქალური განვითარების რომანების მიზანია დაანახოს მკითხველს თუ როგორ უზიბებებს საზოგადოება ქალებს, რომ „დაპატარავდნენ“, ნაცვლად იმისა, რომ გაიზარდონ (Pratt, 1981:14).

ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს, რომ სხვაობა ქალურ და ტრადიციულ განვითარების რომანებს შორის მხოლოდ პროტაგონისტის საპირისპირო სქესია, თუმცა ელიზაბეტ აბელისა და მარიანა ჰირშის კვლევები გვიჩვენებს, რომ ქალური განვითარების რომანმა გარკვეული ცვლილებები განიცადა როგორც ჟანრმა. ავტორები გამოთქვამენ აზრს, რომ თუ მამრობითი სქესის გმირის სწრაფვა ინდივიდუალური სურვილისა და სოციალური კონვენციის შერიგებისკენ არის მიმართული, ქალური განვითარების რომანის მთავარი გმირის ბრძოლა მდგომარეობს იმაში, რომ „გააჟღეროს ნებისმიერი მისწრაფება“. თუ მამრობითი სქესის გმირს აქვს ხმა და თავისუფალია მონაწილეობა მიიღოს საჯარო სფეროს რაციონალურ კრიტიკულ დისკურსში, ქალი პროტაგონისტი, პირიქით, იბრძვის, რომ მისი ხმა გაიგონ (Abel and Hirsh, 1983:7).

აბელი და ჰირში გამოყოფენ ორ ნარატიულ ნიმუშს ქალურ განვითარების რომანში: პირველი არის უწყვეტი განვითარება ბავშვობიდან სიმწიფემდე და მეორე არის "გამოღვიძება" მოგვიანებით ცხოვრებაში, როგორც წესი, ქორწინების შემდეგ, თუმცა ორივე მათგანს აქვს საერთო მახასიათებელი: შინაგანი კონცენტრაცია თავის დამკვიდრებისთვის, აჯანყებისთვის ან უკან დახვეისთვის (Abel and Hirsh, 1983:8)

არაბული ქალური განვითარების რომანის ასპექტებს პირველად ნედალ ალ-მუსა აანალიზებს სტატიაში „ქალი პროტაგონისტის ცვალებადი სურათი არაბულ ქალურ განვითარების რომანში“ (2006), სადაც ორ არაბულ რომანს ადარებს ამერიკულ და თურქულ ქალურ განვითარების რომანებს. ემილი ნასრალლას „სექტემბრის ჩიტები“ (1962) და სუმაია რამადანის „ნარცისის ფოთლები“ (2001) არაბი ქალი მწერლების შემოქმედებაა.

„სექტემბრის ჩიტებში“ აღწერილია საზოგადოება, რომელიც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს განვითარების პირობებს არ უქმნის და პირიქით, ზღუდავს მათ. ლიბანის ერთ-ერთ სოფელში დამყარებული სოციალური ნორმები ბიჭებს მიგრაციისგან უზბიძებს, ქალებს კი პატრიარქალური საზოგადოების წესებს ახვევს თავს. პროტაგონისტი მუნა სოფლის დანარჩენი მდუმარე ქალებისგან განსხვავებით, კარგად ხედავს სოფლის სასტიკ ადათ-წესებს და იმ „მტრული ძალების“ სიასაც აკეთებს, რომლებიც მას ხელს უშლის იყოს ისეთი, როგორიც არის. ამ ძალებში მოიაზრებს სოფლის მღვდლის ავტორიტეტს, მოძველებულ ტრადიციებს, სკოლის მასწავლებლებსა და მამაკაცის მიერ დომინირებულ ღირებულებათა სისტემას.

განვითარების რომანის ერთ-ერთი მთავარი თემა სიყვარული, ემილი ნასრალლას რომანშიც აქტუალურია. მუნა არაბულ კონსერვატიულ საზოგადოებაში იზრდება და არ შეუძლია საერთოდ უარი თქვას ქორწინების იდეაზე, თუმცა არც იმის შესაძლებლობა აქვს, ღიად დაუპირისპირდეს გარიგებით ქორწინებას, რასაც სოფლის სხვა გოგონები მორჩილად თანხმდებიან.

რომანის დასასრულს ვხედავთ, რომ ბევრი ბრძოლის მიუხედავად, მუნა ბოლომდე ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას და ისე ცხოვრებას, როგორც თავად სურს. ნედალ აღმუსა როჯერ აღენის სტატიაზე დაყრდნობით გამოთქვამს აზრს, რომ სიყვარულის თემის შემცველი არაბული რომანების გმირებს არ შეუძლიათ ქორწინების მეშვეობით თვითრეალიზაცია (al-Mousa, 1993:262).

„ნარცისის ფოთლებში“ მთავარი გმირი, კიმი, მუნას მსგავსად პატრიარქალურ საზოგადოებაში იზრდება, თუმცა მუნასგან განსხვავებით, კიმი საკუთარ თავში ჩაღრმავებას საზღვარგარეთ, დასავლეთში მოგზაურობის დროს ახერხებს. განათლების მისაღებად ირლანდიაში წასული ახალგაზრდა გოგონა შორდება მშობლიური კულტურის გავლენებს და იწყებს საკუთარი თავის შეცნობას, მისი ძლიერი სულისკვეთება საშუალებას აძლევს, ხმა აიმაღლოს და დაუპირისპირდეს კიდეც პატრიარქალურ წესებს.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის შეხვედრა აქაც ისევე აქტუალურია, როგორც ზემოხსენებულ არაბულ ტრადიციულ განვითარების რომანებში, თუმცა სუმაია რამადანი ცდილობს გვიჩვენოს ორი კულტურის დაპირისპირების შედეგად შემდგარი თავისუფალი ადამიანი - უსამშობლო და ყველა სამშობლოს მქონე, ყველა და ამავდროულად, არც ერთი ენის მფლობელი“ (al-Mousa, 2006:267).

კიმის სასიყვარულო გამოცდილება უფრო მდიდარი და თამამია, რითაც ცდილობს საკუთარი დამოუკიდებლობა გამოხატოს და დაუპირისპირდეს მშობლიურ კულტურას, რაც სრულებით განასხვავებს მუნას გამოცდილებისგან.

ამ ორ არაბულ ქალურ განვითარების რომანში იკვეთება ის სიუჟეტი და თემატიკა, რაც მოიძიება, როგორც დასავლურ, ისე არაბულ ტრადიციულ განვითარების რომანებში. ძირითადი განსხვავება ქალურ და ტრადიციულ განვითარების რომანებს შორის პროტაგონისტების განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებია. თუ მამაკაცების შემთხვევაში ეს ფაქტორი ცხოვრების გზაზე შემხვედრ ადამიანებთან ურთიერთობა და მათი ზეგავლენაა, ქალების შემთხვევაში, მათი ცვლილების მთავარი გამომწვევი მიზეზი და საშუალება საკუთარ თავში ჩაღრმავება და თვითმესწავლაა.

რაც შეეხება იმან ჰუმაიდანის რომანს „ველური თუთა“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ განვითარების რომანის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია. რომანში მოვლენები XX საუკუნის 30-იან წლებში ვითარდება მთიანი ლიბანის ერთ პატარა სოფელ აინ-ტაჰუნში, რომელიც რელიგიური და ეთნიკური სიჭრელით ხასიათდება. პროტაგონისტი, სარა, მკაცრ პატრიარქალურ საზოგადოებაში იზრდება, სადაც წესებს ზედმიწევნით იცავენ როგორც კაცები, ასევე ქალები. ამ სისტემისგან თავის დაღწევა მხოლოდ სარას დედამ შეძლო სოფლიდან გაქცევით. სარას ძმა მთელი ცხოვრება გამგზავრებაზე ფიქრობს და გეგმავს, თუმცა ოჯახის მარწუხებს ვერ გაურბის, სოფელში რჩება. გულ-ისწადილის ასრულებას ვერც სარას მამიდა, შამსი ახერხებს. მმის

მრავალწლიანი დაპირება, რომ იბრაჰიმზე, მის გულისსწორზე გაათხოვებს, ცარიელია.

სარას სახლში დედამისის შესახებ არ საუბრობენ, ამ თემას ტაბუ ადევს. დედის ერთი ფოტოს გარდა სარას ხელშესახები არაფერი აქვს. ნაცნობებისგან მოსმენილი ისტორიების შეკოწიწებით ცდილობს მის შესახებ წარმოდგენა შეიქმნას: „მოგონებებს შორის ხიდებს ვაგებ და ერთმანეთთან ვაკავშირებ ძველი ტანსაცმლის მკემსავივით, რომელსაც ნახმარ სამოსზე საკერებლის დადების გარდა სხვა არაფერი დარჩენია“ (ჰუმაიდანი, 2021:30).

დედის იდუმალი ხატება ფონად გასდევს სარას ცხოვრების ყველა ასპექტს, განსაზღვრავს მის გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ ნაბიჯებს, მათ შორის, რომანტიულ ურთიერთობას ქარიმთან, მისი ძმის მეგობართან.

ქარიმს სარა პატარაობიდან იცნობს, მათი გრძნობები დროთა განმავლობაში ღვივდება, თუმცა ქორწინების იდეა სარაში მაშინ მწიფდება, როცა იგებს, რომ ქარიმს სამუშაოდ ინგლისში უწევს წასვლა და შანსი უჩნდება, რომ პორტერების ოჯახს ეწვიოს და დედამისის ამბავი გამოიკვლიოს: „დარწმუნებული ვიყავი, ქარიმი დამავიწყებდა ქალს, რომლის სურნელსაც მისი წასვლის შემდეგ დავემებდი - უკვე თხუთმეტი წელია“ (ჰუმაიდანი, 2021:111)

თანაცხოვრების რამდენიმე წლის შემდეგ სარა გაუცხოებას გრძნობს ქარიმთან. ქმარი იმ სიცარიელეს ვერ უვსებს, რაც დედისგან მიტოვების ტრავმამ დაუტოვა.

დასავლეთში მოგზაურობით გრძელდება სარას თავგადასავალი დედის ძიების გზაზე, რომელიც უფრო მეტ სულიერ შფოთვას იწვევს: „ვფიქრობდი, ჩემი გამგზავრებით ახალ ცხოვრებას დავიწყებდი, სხვა ცხოვრებას, მარტოხელა ცხოვრებას რომ არ ჰგავდა. მაგრამ ეს რა მჭირს?! ვგრძნობ, რომ გამგზავრებამ ჩემს ტვინს ახალი სიმძიმე შემატა. ვგრძნობ, რომ ჩემი ახლანდელი ცხოვრება წინანდლისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ის მარტოობის ცოტა უფრო გრძელ კვალს ტოვებს, ვიდრე წინა და

ჩემგან მიუწვდომელ აკუმულირებულ დროს“ (ჭუმაიდან, 2021: 127).

სარა ინგლისში ყოფნას ვერ ეგუება, გარემო მისთვის უცხოა, მეუღლის გარდა ურთიერთობა არავისთან აქვს, საკუთარ თავში იკეტება და კვლავ აინ ტაჰუნში დაბრუნებაზე ფიქრობს. პორტერების ოჯახთან შეხვედრამ პასუხებს გაცემის ნაცვლად, პირიქით, უფრო მეტი კითხვა გაუჩინა. სოფელში ჩასული აცნობიერებს, რომ საიდანაც დაიწყო მისი ცხოვრება, ისევ იქ დაბრუნდა. „მე მთელი ეს წრე უნდა გამეცლო, რომ ამ ადგილამდე მოვსულიყავი - იმავე ადგილამდე, საიდანაც დავიწყე (ჭუმაიდან, 2021:146).

დასკვნა

ამრიგად, რომანის შესწავლამ გვიჩვენა, რომ „ველური თუთა“ მიუყვება ტრადიციული განვითარების რომანის სტანდარტულ სიუჟეტს და აკმაყოფილებს ჟანრის კრიტერიუმებს. იგი იწყება პროტაგონისტის ბავშვობის წლების აღწერით, გრძელდება მისი სასიყვარულო ისტორიით, მოგზაურობით და სრულდება შეცვლილი და ტრანსფორმირებული სახით სახლში დაბრუნებით.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული არაბული განვითარების რომანის მსგავსად შეიცავს დასავლურ კულტურასთან შეხების თემას, რაც პროტაგონისტში გაუცხოებას და კრიზისს იწვევს.

რაც შეეხება არაბული ქალური განვითარების რომანის მახასიათებლებს, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას თვითრეფლექსიას და საკუთარ თავში ჩადრმავებას, რაც სარას შემთხვევაში მკვეთრადაა გამოხატული.

რომანში აგრეთვე თვალსაჩინოდაა აღწერილი ლიბანის მაღალმთიან სოფელში დამყარებული პატრიარქალური წყობა, რომელიც განაგებს არა მარტო პროტაგონისტის, არამედ დანარჩენი პერსონაჟების ცხოვრებასაც.

მართალია, სარას სასიყვარულო ისტორია მისი სურვილის თანახმად ვითარდება, მაგრამ აშკარაა, რომ მისთვის ქორწინება თვითრეალიზაციისთვის გადადგმული ნაბიჯია, რაც კრახით

სრულდება და რომანის ბოლოს ვხედავთ რთულ გზაგამოვლილ პერსონაჟს, რომელიც საწყის წერტილს უბრუნდება და აცნობიერებს, რომ ეს ყველაფერი უნდა განეცადა რათა საკუთარ თავს დაბრუნებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- სურმავა, ნ. (2018). დასავლეთი და აღმოსავლეთი XX საუკუნის არაბულ ლიტერატურაში (10-იანი-60-იანი წლები), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბილისი.
- ჰუმაიდანი, ი. (2021). „ველური თუთა“, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი.
- Al-Mousa, N. M. (1993). The Arabic Bildungsroman: A generic appraisal. *International Journal of Middle East Studies*, 25(2), 223-240.
- Al-Mousa, N. M. (2006). The Changing Image of the Heroine in the Arabic Female Bildungsromane. *Middle Eastern Literatures*, Vol. 9, No. 3, December.
- Abel, E. Hirsch, M. Langland, E. (1983) Eds. *The Voyage In: Fictions of Female Development*. Hanover: UP of New England.
- Boes T. (2006). Modernist Studies and the Bildungsroman: A Historical Survey of Critical Trends. *Literature Compass* 3/2, 230-243
- Lazzaro-Weis C. (1990). The Female "Bildungsroman": Calling It into Question. *NWSA Journal*, Vol. 2, No. 1. 16-34
- Pratt, A. (1981). *Archetypal Patterns in Women's Fiction*. Bloomington: Indiana University Press.